



1 ივნისი გავზვთა დაცვის საერთაშორისო დღია

დავივიწყოთ ომბანა!

საპარტეზლოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რუსული საბჭოს ორგანიზებით

ЛЕЛО
ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА РУССКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

31 მაისი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 101 (10 270) • ზანი 8 კპპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

საინტერესო და ცოტა უჩვეულო ღონისძიება მოეწყო ახლახან თბილისის 30-ე საშუალო სკოლაში. ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილების ყველა სკოლის მოსწავლემ მოიყარა აქ თავი, რათა საბოლოოდ უარი ეთქვათ აგრესიული ხასიათის საბოლოო იარაღებზე, გაენადგურებინათ ისინი, როგორც სიმბოლო ნგრევისა, სიკვდილისა, გაუთავებელი ომებისა... აქედან „შვიდობისათვის, სიკეთისათვის, ბავშვებისათვის!“ ორგანიზატორი იყო მსოფლიო მშვიდობისათვის ესპერანტისტთა მოძრაობის (მემ) საქართველოს სექცია. მიტინგი გახსნა მემ-ის საქართველოს სექციის პრეზიდენტმა მანანა ცუქერიძემ, დამსწრეთ მიმართა საქართველოს ესპერანტისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა, პროფ.

ფესორმა ილია ტაბატაძემ, სიტყვით გამოვიდნენ ბავშვები... ორატორები ერთსულოვნად გამოხატეს, ყოველგვარ ძალადობას, ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ბავშვის გასართობ ატრიბუტიკას თოფი კი არ უნდა წარმოადგენდეს, თუნდაც ხისა, არამედ ბურთი, ჩოგანი, საკიდაო ჩოხა, რომ ბავშვი საომარ მინდვრებზე კი არ უნდა ფიქრობდეს, არამედ სპორტულ ასპარეზზე... სწორედ პარმონიულად განვითარებული, ფიზიკურად და ზნეობრივად უნიჭო ახალგაზრდობა უნდა შეეგებოს ოცდამეერთე საუკუნეს, ხოლო ამგვარი აქციები უნდა ვამრავლოთ, რათა ბავშვების სამეტყველო ლექსიკონიდან საერთოდ ამოვარდეს სიტყვა „ომი“. მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს

მიმართვა, რომელშიც მოითხოვენ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში აიკრძალოს საბრძოლო და აგრესიული ხასიათის საბავშვო სათამაშოების წარმოება, მოუწოდებენ ნორჩებს, უარი თქვან საერთოდ ამგვარ სათამაშოებზე, მიბაძონ ოქტომბრის რაიონის სკოლების მოსწავლეებს — სიმბოლური აუტოდანე მოუწყონ აგრესიის ყოველგვარ გამოვლენას.

ლევან ჯავახიშვილი.

სურათებზე: ასეთი შინაარსის ტრანსპარანტები მრავლად იყო გამოფენილი 30-ე საშუალო სკოლის ეზოში; მოსწავლეები ანადგურებენ აგრესიული ხასიათის სათამაშოებს.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

თვითნებობის დასასრული?

ქართველ მოჭადრაკე ქალთა კატეგორიული მოთხოვნით რიგა ბილუნოვა ჩამოაშორებს ქალთა ნაკრების საქმეებს

რომორც ცნობილია, ამას წინათ იუგოსლავიაში იმყოფებოდა საქართველოს მოჭადრაკე ქალთა გუნდი, რომელმაც იქაურ ცნობილ კლუბ „გოშას“ ვაჟთა ნაკრებთან ჩაატარა მატჩი. შემდეგ კი... ვიდრე ჩვენი მოჭადრაკეები შინ დაბრუნდებოდნენ, კიდევ რამდენიმე საინტერესო ამბავი მოხდა, რომლის შესახებ, რედაქციის თხოვნით, დაწვრილებით გვიამბობს დელეგაციის ზედმძღვანელი, საქართველოს ჯადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის წევრი, სპორტსაზოგადოება „შეფარდების“ თავმჯდომარის მოადგილე ეშვარ ზენაიშვილი.

— ქადრაკის ქართველ გულშემატკივრებს ალბათ ახსოვთ ამ რამდენიმე წლის წინ თბილისში გამართული გასამართლებელი მატჩი, როცა ქართველი მოჭადრაკე ქალები იქვე დაფაზე შეხვდნენ იუგოსლავიის სპორტულ კლუბ „გოშას“ მოჭადრაკე ვაჟებს. „გოშას“ ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდნენ ცნობილი დიდოსტატები და საერთაშორისო ოსტატები. მაშინ ოთხ ტურად გამართულ შეხვედრაში მცირე უპირატესობას იუგოსლავიელებმა მიაღწიეს — გვითხრა ე. ზენაიშვილმა.

ამას წინათ, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დამთავრებისთანავე, რესპუბლიკის უძლიერესი მოჭადრაკე ქალები, მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურდანიძისთან ერთად, იუგოსლავიაში გაემგზავრნენ. აქ მათ ელოდათ საპასუხო სამატჩო შეხვედრა „გოშას“ ვაჟთა ნაკრებთან, შემდეგ კი, მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ტურნირში.

იუგოსლავიელები გულთბილად შეხვდნენ ქართველ მოჭადრაკეებს. სტუმრობის მთელ პერიოდში დიდ ყურადღებასა და სითბოს იჩენდა საქართველოსა და ქართული საქადრაკო სკოლის მეგობარი და თაყვანისმცემელი მილონკა ლაზარევიჩი.

პრესაში უკვე გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ჩვენმა ქალებმა მატჩი წააგეს ანგარიშით 1:5 (ყაიმით დაამთავრეს თავიანთი შეხვედრები მაია ჩიბურდანიძემ და ქეთევან კახიანიამ), მაგრამ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მატჩი, სრული პირობით მიიწვ, არ შედგა. წინასწარი შეთანხმებით უნდა მოეწყობილიყო სულ მცირე ორტურისი შეხვედრა მიმც. მაგრამ „გოშას“ ნაკრები სპორტულ კლუბებს შორის იუგოსლავიის პირველობაზე ოცნდება მონაწილეობას და დროზე ვერ

ჩამოვიდა ქალაქ სმედერევესკა-პალანკაში, სადაც ჩვენების მატჩი იყო დანიშნული. შეიქმნა სიტუაცია, როცა ან მატჩი უნდა ჩაშლილიყო, ან ჩვენს მოჭადრაკეებს უარი უნდა ეთქვათ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობაზე, რომელიც, სხვათა შორის, საზოგადოების ტურნირისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენდა (შეგახსენებთ, რომ ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ქეთევან არახაბია, ქეთევან კახიანი და ნინო გუგუიძე სწორედ საზოგადოების ტურნირისათვის ემზადებიან), ბოლოსდაბოლოს, ჩვენი გოგონები დაეთანხმნენ იუგოსლავიელთა თხოვნას და გადაწყვიტეს, ეთამაშათ მხოლოდ თითო პარტია საქადრაკო კლუბში, მაყურებლებისა და რეკლამის გარეშე.

ამის შემდეგ, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ქეთევან არახაბია, ქეთევან კახიანი და თამარ ზუგდიძე გაემგზავრნენ ქ. პულაში, ხოლო მაია ჩიბურდანიძე და ნინო გუგუიძე საქართველოში დაბრუნდნენ.

მს. მ. ჯ. 33

დღის ნუსრიბშია

მოსწავლეთა საპარტაკიდა

ამ დღეებში საქართველოს მინისტრთა საბჭოში გაიმართა მოსწავლეთა საკავშირო საპარტაკიდას ფინალური შეჯიბრებისათვის რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადებისა და მონაწილეობის უზრუნველყოფის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა.

სხდომაზე მოსმინეს საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსის, სპორტსაზოგადოება „მარტვის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მ. მნათობის შეხუბრება.

რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალოთ პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ ნაკრებ გუნდებს, უზრუნველყონ საშეფო მუშაობის მაღალი დონე. გარდა თავისუფალი ჰიდიობისა, რომელიც უკვე გაიმართა, საქართველოში შეჯიბრებები ჩატარდება სამბოში, ძიუდოში, ბატუტზე ხტომაში, კალათბურთში, წყალბურთში და ხელბურთში. სულ საპარტაკიდას პროგრამაში სპორტის 29 სახეობა შედის.

სად პოინანოლობთ...

● **ბრინჯაძე**. ძიუდოსტ ქალთა მეოთხე საკავშირო ტურნირში ცამეტე რესპუბლიკის 200-მდე ათლეტი მონაწილეობდა. პირველი ადგილი დაიკავა თბილისელმა ძიუდოსტმა ნინო ქუციაშვილმა.

● **პინკაძე**. სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა საკავშირო პირველობის ნახევარფინალს 10 ტურის შემდეგ ლიდერობს თბილისელი ნათია ჯანჭილაძე — 7,5 ქულა. 7 ქულით მეორე ადგილზეა ქიველი დიდოსტატი

ლ. სემინოვა. ხერსონელმა ოსტატობის კანდიდატმა ა. ბარსუკმა 6,5 ქულა დააგროვა.

● **პარპაძე**. ვენესუელის დელაქალაქში ტარდება სამისტო მსოფლიო თასის გათამაშება. ამ ასპარეზობაში საბჭოთა ქვეყნის ლიდერებს იცავენ საკავშირო თასის გამარჯვებულები. მსოფლიო ჩემპიონი ჯემალ მკვდლიშვილი ტრავმის გამო საკავშირო თასზე არ გამოსულა და, ცხადია, არც კარაკასში იმყოფება.

ლეილა მესხაძე კარგად დაიხყო

პარნი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში („როლან გაბოსის“) ერთი იმ შეჯიბრებათაგანია, რომელიც „დიდი მუზარადის“ სერიაში შედის ავსტრალიის, აშშ-ს ღია ჩემპიონატებთან და უიმბლდონის ტურნირთან ერთად. ბუნებრივია ამ პრესტიჟულ ასპარეზობაში ყველა პრემიატებით გამოსვლას ცდილობს.

პირველი წრე დაუბრკოლებლად განვლეს საბჭოთა ჩოგბურთელებმა, მათ შორის ლეილა მესხაძე, რომელიც ავსტრალიელი რჩელ მაკუილანის დაამარცხა (6:4, 6:1).

სასტარტო შეხვედრები მოიგეს, აგრეთვე, ლარისა საჩენქიძემ (დაამარცხა ბრაზილიელი ლიუსიან კორსატო 6:7, 6:4, 6:4), ნატალია ზვე-

რეამ (ფრანგ კატრინ ტანვეისთან 6:4, 7:6), ანდრეი ჩენსოკოვა (დასავლეთგერმანელ უდო რიგლევსკისთან — 6:1, 6:1, 6:3), ალექსანდრე ვოლოკოვა (ვენესუელელ ნიკოლას ბერიასთან — 6:4, 6:0, 4:6, 6:4).

აღინიშნა პირველი სენსაციებიც, თანაც ტურნირს გამოეთიშნენ ვაჟთა შეჯიბრების ფავორიტები. შვედი სტეფან ედბერგი დაამარცხდა ენპანელ სერბი ბრუგეროსთან (4:6, 2:6, 1:6), ბორის ბეკერი (გფრ) კი იუგოსლავ გორან ივანიშვიჩთან — 7:5, 4:6, 5:7, 2:6.

ქულათა გასიგუიო


უღიშალო ჩაებნენ მოჭადრაკე ვაჟთა 50-ე რესპუბლიკური ჩემპიონატში ოსტატები თამაზ ტაბატაძე და ვია ბალათური. III ტურში ორივემ დამარცხება განიცადა: თ. ტაბატაძემ 16 სვლაში დათმო პარტია ალექსანდრე დგებუაძისთან შეხვედრაში, ხოლო ვ. ბალათურივემა ქუთაისელ შოთა კუჭუხიძისთან პაექობაში, ამჟამად უკეთესი პოზიცია მიიღო, მაგრამ მხედველობიდან გამოიწია მოწინააღმდეგის მხრიდან შამათის მუჭარა და დამარცხდა.

ზედვიდ მესხაძე გამარჯვება მოი-

პოვა ოსტატობის კანდიდატმა, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ნუჭრი მანაგაძემ. მან ამ ტურში შვიდი ფიგურებოთ თბილისელი ოსტატობის კანდიდატი, თსუ-ს პირველკურსელი აკაი იაშვილი დაამარცხა.

ამ ტურის დანარჩენი პარტიების შედეგები ასეთია: შალამბერიძე — ხაბურზანია 1:0, კაკაბაძე — ხოფერიძე — 0,5:0,5, სუპატაშვილი — სიქინავა 0,5:0,5, ჭურჭულია-პოპოვი 0,5:0,5, გადაილო კეკელიძე — გოგინაშვილის პარტია.

პასილ ჯავახიძე.



რამ გააცხარა მეოცნება პიტერ ბლეიკი


პიტერ ბლეიკი სიტყვის კაცია: სამი წლის წინათ, 1987 წლის ზაფხულში, პირობა დადო — მეხუთე „უიობრედში“ მე გავიმარჯვებო. გაიმარჯვა და მერე როგორ!

არადა, სწორედ ეს სიტყვის კაცი ამ პირობამდე ერთი წლით ადრე, მეოთხე „უიობრედის“ დასრულების შემდეგ, ყველას გასაგონად იფიცებოდა: „ქმარა, დავილალო, „უიობრედში“ აღარ გამოვალ! მომბეზრდა ეს ხანგრძლივი, მომქანცველი მოსაწყენი რბოლა, რომელსაც სრულიად არაქათვაცილოლი და გამოთავყანებული ამთავრებ. ნებისმიერი აფროსისთვის ოთხი „უიობრედი“ საქმარისზე მეტია. ერთი სული მაქვს, ახლებურ, უფრო მიმზიდველ და საინტერესო რბოლაში ვცადო ბედი“.

არ იფიცოთ, ბლეიკის ეკიპაჟმა მაშინ სუსტად იასპარეზა და ამან გააღიზიანა აფროსანი ან „უიობრედი“ იყოს მართლაც მოსაწყენი რბოლა. ახალზელანდიელთა მაქსი-იანტის „ლაიონ ნიუ ზილანდის“ ეკიპაჟმა, რომელსაც ბლეიკი ხელმძღვანელობდა, მეოთხე „უიობრედში“ მერე ადგილი დაიკავა. რაც შეეხება ამ რბოლების მოსაწყენობას, თავად ბლეიკის სიტყვებს დავიმოწმებ. აი, როგორ იფიცებდა იგი რბოლის იმ მონაკვეთს, როცა

ვებიც დაეშავთ, მაგრამ ვერაფერს გახდა — ორგანიზატორები ფრთხილად დასველებით სამართლიანად. ამ მსუბუქი, ქარით სწრაფი, მაგრამ კლასიკური „მონო-იანტის“ ნაკლებსაიმედო ნავეით ზემართონულ საოკეანო დისტანციებზე ნაოსნობა ერთობ სასიფათოა, „უიობრედის“ მატანეში კი, მოგვეხსენებათ, ისედაც მრავალი ტრავიკული სტრიქონია. ბლეიკი რის ბლეიკი იქნებოდა, სხვათაგან დაკანონებულ სიფრთხილეს ანგარიშს უწყევდეს, მით უმეტეს, რომ „ქსტარ“-ის სახელით ცნობილ ტრანსატლანტიკურ რბოლაში ორი და სამკორპუსიანი ნავეებიც გამოდიან, და, ბოლოდროინდელ შედეგებს თუ გადავხედავთ, „მონო-იანტის“ შანსს არ უტოვებენ (სხვათა შორის, ლუდის ჩხენებას ვერც ამჯერად ავცდებთ: „ქსტარ“-საც მელუდები — დანიური ფირმის „კარლსბერგის“ მეპატრონეები აწყობენ). აღარას ვამბობ თითო-ორთა „შერეკილზე“, გვეხსენოთ თუნდაც ფრანგი ალენ კოლა, რომლებიც კატამარანებთან და ტრიმარანებით ნაოსნობენ დედამიწის გარშემო. ერთი სიტყვით, ბევრი „იომა“ ბლეიკმა „უიობრედში“ კატამარანებისა და ტრიმარანების დასაშვებად, მაგრამ უარს მეტს ვერაფერს გამოიჩინა — მეოთხე „უიობრედში“ ერთკორპუსიანი ნავეთ მოუწია ასპარეზობა. აი, ამ რბოლის მერე იყო, რომ ვაცხარდა: „უიობრედში“ აღარ გამოვალ, სხვა ვხუთ მივაფრევ საწადელსო. საწადელი კი ისეთი აქვს, ვინც გაიგო, ყველას ვიუღ ვერნი გაასვენდა: ბლეიკის ოცნებაა, 80 დღე-ღამეში შემოსტროს დედამიწას.

პირობები ასეთი იყო: ერთი ნაცვალად აიგებოდა სამი ნავეი — ერთი „მონო-იანტა“ და ორი ტრიმარანი. ტრინარანებიდან უფრო მსმცნოთი ბლეიკმა და შის ერთ მეწყვილეს ნონაილენმა უნდა შეეერთათ ანტარატიკაში ეკრუპელთა და სახლების 200 წლისთავისადმი მიძღვნილ რბოლაში. ეს რბოლა (ავსტრალიის გარშემო) ამ მოლოპარაკებიდან ერთი წლის მერე, 1988 წელს უნდა გამართულიყო. შემდგომ ბლეიკი და მისი მერე შერეული ეკიპაჟი ერთკორპუსიანი ნავეთ მეხუთე „უიობრედში“ უნდა გამოსულიყვნენ. შედეგითა იმის შესხენება, რომ დახარჯული მილიონების საფასურად მაიერსი ამ რბოლაში მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებას ითხოვდა. ამის მერე უნდა აგებულიყო სწორედ ის „ქსტარ“-იანი, რომლითაც ბლეიკი თავისი ფანტასტიკური ჩანაფი-



თანამედროვე გემშენებლობის „შედეგია“ — „მონო-იანტა“ „ნიუ ზილანდი“. ამერიკის თასის მფლობელი რბოლაში (1988 წელს) მრისხანე მეტოქეს ამერიკელებმა კატამარანი „სტარზ ენდ სტრაიპი“ დაუპირისპირეს და იოლადაც გაიმარჯვეს.

ზღვისა და ლუდის ქაფიდან იშვა...

სახელდახელო ანონსი

დუგლას მაიერსი მილიონერია. ამ ახალზელანდიელ საქმოსანს შეუძლია და აკი გააკვირვა კიდევ მთელი მსოფლიო.

მე შემოდია, გავაკვირვო კი არა, გავაოცო დუგლას მაიერსი. მაიერს ხელს აძლევს, ყველას პირზე ეკეროს მისი სახელ-ნამოქმედარი, მაგრამ ეს იმდენი მილიონი დოლარი უჯდება...

მე მის გასაოცებლად ამ ნაცოდელარში პონორარად ნაწყალობები საბჭოთა მანეთებიც თავზე საყრდელად მიეყრდა: მაიერსი თბილისში რომ ჩამოვიდოდეს და ვინმე ახლოს მიმაკარებდეს... დიდუბეში, ლუდის ბარ „შატილში“ დავაპატივებდი. სასურველია, ზაფხული იყოს. მის გასაოცებლად სხვა ნამდვილად არაფერია საქირო.

ეს შესავალი „უიობრედზე“ დაწერილი მასალის სახელდახელო ანონსად ჩათვალეთ. მოგეხსენებათ, ამ სახელით იცნობენ აფრიკის ნავეებით დედამიწის გარშემო რბოლას, რომელიც 1989-90 წლებში მეხუთედ მოეწყო და ეს-ესაა დასრულდა. აფროსნობა თუ გაინტერესებთ, და ამ წერილის წაკითხვას ისურვებთ, სხვა ამბებთან ერთად, ცხადია, იმასაც შეიტყობთ, ვინ არის მაიერსი, რით გააკვირვა მსოფლიო და მე რას ვემართლები ამ კაცს.

„უიობრედი“: ჯანჯალენის გიობრავია

იგი საქმიან შეძლებული და სახელოვანი მშობლების შვილია. დედა — დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალების აფროსნობის მოყვარული ასოციაცია და მამა — ლუდის მხარეველი ცნობილი ინგლისური ფირმა „უიობრედი ენდ კომპანი“ 1972 წელს შეუღლდნენ (ბრიტანელი აფროსნობი და მელუდები სწორედ ამ წელს შეთანხმდნენ დედამიწის გარშემო რბოლის მოწყობის თაობაზე). მათმა ქულებიდანმა პირმშომ, რომელიც მომდევნო წელს მოეციანა ქვეყანას, იოლად გაიკვლია გზა მაღალი საზოგადოებისკენ და ამჟამად ჩინებული რეპუტაციით სარგებლობს (პირველი რბოლა მოეწყო 1973-74 წლებში. მან იმთავითვე მიიპყრო საყოველთაო ყურადღება, აფროსნობა ზღვაოსნობის სამყარო. აფროსნობი არაფერს ზოგავენ „უიობრედში“ მოსაწყენობის მისაღებად. იშვიათია ცნობილი აფროსანი, რომელსაც ბედი არ ეცადოს ამ რბოლაში. ზღვაოსნობის ტრადიციებით განთქმულ ქვეყანაში „უიობრედში“ გამარჯვებას ეროვნული პრესტიჟის საქმედ მიიჩნევენ. „ამერიკის თასი“, რჩეულითა შორის რჩეულ აფროსანთა ეს უძველესი და უპირველესი შეჯიბრება, პრესტიჟით კი აღემატება „უიობრედს“, მაგრამ მასშტაბურობითა და სირთულით აშკარად ჩამორჩება მას).

აი, ასეთია „უიობრედის“ ოფიციალური და კარგად ცნობილი ბიოგრაფია, რომელშიც საქამათო მართლაც არაფერია, მაგრამ რატომაც ძალიან ხშირად იფიცებენ ერთ ლეტალს, რომელმაც, ჩემი აზრით, საფუძველი ჩაუყარა ზღვისა და ლუდის ქაფის ამ უცნაურ და ბედნიერ კავშირს.

საქმე ის გახლავთ, რომ „უიობრედი ენდ კომპანი“ ადრეც „ეიარ-შიეებოდა“ ზღვაოსნებს. როცა ფრენისი ჩინესტრმა დედამიწის გარშემო ნაოსნობა გადაწყვიტა, მისი მფარველობა იკისრა შალეულით მოვაჭრე ავსტრალიურმა ფირმამ „ინტერნეშლ ვულმა“. ავსტრალიელებს, ცხადია, საკუთარი ინტერესები ამოძრავებდათ — სულ უფრო მძაფრდებოდა კონკურენცია მათსა და სინთეტიკური ქსოვილების მწარმოებელ ქიმიურ კონცერნებს შორის. საჭირო იყო მასშტაბური რეკლამა და შალით მოვაჭრეებს უკან არ დაუხევიათ — 1966 წელს ჩინესტრის სიმბოლურ თანხად, 1 შილინგად მიაქირავეს იანტა („კიპსი-მოტ IV“), რომლის აგება და გაწყობა 30000 გირვანქა სტერლინგი დაუჯდათ. „უიობრედის“ მეპატრონეებმა კი მამაც თანამემამულეს შორეულ ნაოსნობაში გაატანეს... ერთი კასრი ლუდი. თან „მორცხვად“ დასძინეს, ვაინტერესებს, როგორ გაუძლებს ჩვენი ნაწარმი დიდ მანძილზე ტრანსპორტირებასო. ძნელი მისახვედრი არ იყო, რა ედო გულში მელუდებს, მაგრამ პირდაპირობასაც ვერ დაუწყუნებდით: თავიანთი ნახელავის იმედი ჰქონდათ, დიდადაც ვარისკეს და გაუძობრათ კიდევ — „უიობრედი“ გაუძლო და გროუბის ფასად დიდი რეკლამა გააკეთა.

ქარიშხალმა უმტკიცესი მასალისგან, კველარისგან დამზადებული ქვედა აფრა, გროტი დაუზიანა: „მთელი ოთხი დღე თავს ისე ვგრძობდით, თითქოს სარეც მანქანაში გამოფეხვდით“. ორჯერ ვეშაბს შეეჯახნენ — ერთხელ ისე ძლიერ, რომ ჩაძირვის ძლივს გადაურჩნენ. მაშ რამ აიძულა პიტერ ბლეიკი „უიობრედზე“ ეთქვა უარი, მერე სიტყვას გადასულიყო და ისიც გაერისკა, რომ ორი წლის მერე გასამართ რბოლაში გამარჯვების პირობა დაედო?


მას ჰქონდა უფლება ეთქვა, მომბეზრდა „უიობრედი“, ჩემთვის ეს მოსაწყენი საქმეა. 40 წლის პროფესიონალი ზღვაოსანი ბავშვობიდან მისდევს აფროსნობას — ოკლენდში გაზრდილი ემპროლეებისთვის სპორტის ეს სახეობა ისეთივე ჩვეულებრივი და ხელმისაწვდომი გასართობია, როგორც ჩვენთვის ბურთობა. ბლეიკებს საკუთარი იანტა ჰქონდათ და პატარა პიტერი ხშირად მართვდა გადიოდა ზღვაში. სერიოზულ შეჯიბრებებში გამოსვლას სტუდენტობიდან მიჰყო ხელი. მონაწილეობდა ორკაციანი ეკიპაჟებით ინგლისის გარშემო, ფასტეტისა და ტრანსატლანტიკურ რბოლაში, რამდენჯერ „მოუგვრია“ ახალ ზელანდიაში შეკვეთილი იანტა სხვადასხვა კონტინენტებზე მცხოვრები მათი მფლობელებისათვის.

თავად ბლეიკს სათავისო არჩევანი გაკეთებული აქვს: მისი პროფესიული სიმპათიები ორ და სამკორპუსიანი ნავეების — კატამარანებისა და ტრიმარანების მხარეზეა. დიდი ხანია, ეწადა და სხვა აფროსნობთან ერთად ბეგრსაც ეცადა, „უიობრედში“ ამნაირი ნა-

ორი სიტყვის ფილოსოფია

სპორტისა და ბიზნესის ურთიერთობაში თავისი შრო და ფასი ორივე მხარემ კარგად იცის: ვის უნახავს, სპორტები იკვებნენ — უანგარის ვართ, განა სარგებელს ველოთ, ისე ვაკვლიანებთ ნიჭიერთა. სპორტში მოტივია ხალხსაც მოგხსენება, რომ უსასხარობა სპორტის იმის დამართებს, რასაც თრობით — სისხლძარღვს. ერთი სიტყვით, ამ საქმის მთელი ფილოსოფია ორ სიტყვაში ეტევა — „გამომადგები? — გამოვადგები“.


ბლეიკამაც ძველ ნაცნობებს — მეოთხე „უიობრედში“ მისი ეკიპაჟის ძირითად დამფინანსებლებს, ახალზელანდიური ფირმის „ლაიონ კორპორეიშის“ გამომადგენლებს მიაკითხა. მაშინ ახალი ნავის ასაგებად საჭირო თანხის მეტი წილი სწორედ ამ ფირმის ხელმძღვანელებმა გაიღეს. ბლეიკს კვლავ მათი იმედი ჰქონდა და ეახლა კიდევ „ლაიონის“ კომერციულ დირექტორს დუგლას მაიერსს. ხელცარიელი არ მიუსულა — თავისი საოცნებო ტრიმარანის პროექტი ახლა. ეს პროექტი ბლეიკმა ძველ ნაცნობს, ინგლისელ კონსტრუქტორს დევიდ უილიამსს შეუკვთა. არც ეს არჩევანი იყო შემთხვევითი — უილიამსი თეორეტიკოსი კონსტრუქტორი არ გახლდათ, მას და ბლეიკს რამდენჯერ ერთადაც უსასარეზოა. ახალგაზრდა კონსტრუქტორმა მთელი თავისი ცოდნა, ზღვაოსნური გამოცდილება და ფანტაზია ჩააქსოვა მეგობრის სასაბურთო ნავის პროექტში და ამიტომაც იყო, შედეგმა მოლოდინს რომ გადააჭარბა: მაიერსს ისე მოეწონა ბლეიკის იდეა და უილიამსის პროექტი, რომ ბედის მიძიებულ აფროსნობთან ერთად ბეგრსაც ეცადა, „უიობრედში“ ამნაირი ნა-



კატამარანი და „მონო-იანტა“... პირველის უპირატესობა ხსენა დუგლასმა, მეორისა — ხაიმელობაში. მარცხენა ფოტოზე: „სტინლაგერ-1“, რომლითაც პ. ბლეიკმა დღე-ღამეში 480 საზღვაო მლი გასტროა.

პუბლიკაცია მოამზადა თამაზ შიგარიაშვილმა.

ეროვნული გიგლირთვა



გუშინ საქართველოს პრესაში გამომავალმა ცნობა საქართველოს შურანდისტთა კავშირის პრეზიუმის ვინაობის შესახებ. ლაზარაბათა შორისაა „ლელოს“ ფოტოკორესპონდენტი ალექსანდრე კოტორაშვილი. აკვამ ბთაპაეოთ ა. კოტორაშვილის რა ფოტოგამაგნიტორს.



თვითნებობის დასასრული?

(დასასრული)

„ლელოს“ მკითხველებს უთუოდ დაინტერესებთ პულაში გამგზავრების მიზანი და იქ გამართული შეჯიბრების შედეგები...

პულაში, ადრიატიკის ზღვის უღელს სანაპიროზე, გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ჩაება 550-მდე მოქალაქე, მათგან 40 ქალი იყო. მონაწილეთა შორის იყვნენ ცნობილი საერთაშორისო ოსტატები და საერთაშორისო დიდოსტატები, ფილესა და ეროვნული ოსტატები სსრ კავშირიდან, იუგოსლავიიდან, ბულგარეთიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან. ამ ტურნირის შემადგენლობის სიძლიერეზე ნაწილობრივ მეტყველებს საბჭოთა კავშირიდან მონაწილეთა გვარებიც: ო. რომანიშინი, ი. მატლანიუკი, ე. სვეშნიკოვი, ვ. ჩეხოვი, ა. შაფრანსკა, გ. სახატოვი, ნ. სიტნიკოვა და სხვა. ამავე ტურნირში მონაწილეობდნენ ჩვენი მოქალაქე ვაჟები — გია გიორგაძე, გიორგი ბალაურაძე და თამაზ ტაბატაძე. ასპარეზობა შეეცარაიული სისტემით ჩატარდა და 9 ტური შედგა.

პულაში, ძალზე კარგად, ლაღად და თავისუფლად თამაშობდა ნანა ალექსანდრი. შესანიშნავი იყო მისი ფინიში — 4,5 ქულა 5 შესაძლებლი-

დან. მოაგროვა რა 7 ქულა, მან ქართველ მოქალაქეთა შორის აჩვენა ყველაზე კარგი შედეგი და საბოლოო ჯამში 550 მონაწილეს შორის გაიყარ X-XXV ადგილი. აქ არ შეიძლება, სინანულით არ ითქვას ქულაზე, რომელიც ნანამ, ფაქტიურად, „აჩუქა“ ერევნელ ოსტატს — ვ. შაბოიანს, როდესაც სრულიად მოსაგებ (უფრო სწორად, მოგებულ) პოზიციაში ყველასათვის მოულოდნელად წააგო.

ბრწყინვალე იყო ნონა გაფრინდაშვილის სტარტი — ქულათა მაქსიმუმი პირველ ოთხ ტურში (სხვათა შორის, იგივე შედეგი ჰქონდა გია გიორგაძესაც). მაგრამ, სამწუხაროდ, ნონა ფილტვების ანთიებით ვახდა ავად და ასეთ ვითარებაში, ექიმების აკრძალვის მიუხედავად, თამაში მაინც გაგრძელდა. ბოლო შეხვედრებში ის სასტუმროს ნომერში ატარებდა. საბოლოოდ ნონამ, ისევე როგორც ქეთევან არახამიამ, რომელიც კარგად, სტაბილურად, სრული მობილიზაციით თამაშობდა, მოაგროვა 6,5 ქულა. ამრიგად, ტურნირში მონაწილე ქალებს შორის პირველი სამი ადგილი ქართველ მოქალაქეებს ხელდასწრად წილად.

გია გიორგაძემ მოაგროვა 6,5 ქულა, გიორგი ბალაურაძე და თამაზ ტაბატაძემ — 6-6 ქულა. ქეთევან კახიანი — 5,5, ხოლო თამარ ხუ-

ვაშვილი კი — 4,5 ქულა. გიორგი ბალაურაძე შეასრულა საერთაშორისო ოსტატის ნორმის ერთი ბალი.

ამბობენ, მოსკოვში დაბრუნებისთანავე კიდევ ერთი „ბრძოლა“ გადაიტანეს ჩვენმა მოქალაქე ქალებმა...

სსრკ ქალაქის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე წყდებოდა საბჭოთა კავშირის ვაჟთა და ქალთა ნაკრები გუნდების მწვრთნელების დამტკიცების საკითხი.

მკითხველებმა იციან იმის შესახებ, რომ უკვე რამდენიმე წელია, ქალაქის საკავშირო ფედერაციისა და საკავშირო სპორტსახეობის ხელმძღვანელობა არაფრად ავლებს სსრ კავშირის ნაკრები გუნდის ქართველ წევრთა სრულიად სამართლიან, არგუმენტირებულ მოთხოვნას, რომ ნაკრების საქმეებს ჩამოაშორონ რ. ბილუნოვა. სხდომაზე ნ. გაფრინდაშვილის, ნ. ალექსანდრიას, დ. ჯანოვის, ლ. წერეთლის და სხვათა გამოსვლებში, არაერთხელ იქნა მოყვანილი კონკრეტული ფაქტები რ. ბილუნოვას საწინააღმდეგოდ, იმის საილუსტრაციოდ, თუ რა ზრუნებს მიმართავდა ნაკრების მწვრთნელი ქართველი მოქალაქე ქალების დისკრიმინაციის მიზნით. ნინო გურიელის მაგალითიც რამდენიმე მთხრობიეს. ნონა გაფრინდაშვილი, დაეყრდნო რა საქარ-

თველოს ქალაქის ფედერაციის, აგრეთვე, მია ჩიბურდანიძისა და ნანა იოსელიანის პოზიციებს, ამ საკითხზე (ისინი, საპატიო მიზნის გამო, სხდომას არ ესწრებოდნენ), კატეგორიულად მოთხოვა საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმს, ნაკრების მწვრთნელის დამტკიცებისას გაეთვალისწინებინათ ნაკრების წევრ ქართველ მოქალაქეთა (ისინი კი, მოგეხსენებათ, ნაკრებში აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენენ) კანონიერი მოთხოვნა, ან ქართველები მიმართავდნენ რადიკალურ ზომებს.

საკითხის განხილვამ ძალზე მწვავე ხასიათი მიიღო და რამდენიმე საათს გასტანა. რ. ბილუნოვას მომხრეები იოლად არ ამიერდნენ პოზიციების დამოხრას და ყოველნაირად ცდილობდნენ, რაიმე ფორმით მაინც, გაეყვანათ მათთვის სასურველი კანდიდატურა. მათ შორის, ვინც პრეზიდიუმის სხდომაზე ქართველი მოქალაქე ქალების სამართლიან მოთხოვნას მხარი დაუჭირა, იყვნენ მიხეილ ტალი, საკავშირო სპორტსახეობის თავმჯდომარის მოადგილე — ა. კოზლოვსკი და თვით საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარე — ვ. პოპოვი. სხვათა შორის, მ. ტალმა აღნიშნა, რომ ქართველი მოქალაქე ქალები იგვეს ნიშნავს საბჭოთა ქალაქისათვის, რაც დონბასი — საბჭოთა ეკონომიკისთვის.

ამჯერად, რამდენიმე წლის ბრძოლის შემდეგ, ობიექტურობამ გაიმარჯვა — რ. ბილუნოვა ჩამოაშორეს ქალთა ნაკრების საქმეებს.

თასი — „ლიგოს“

ქალაქში საფრანგეთის თასის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „ლიგოსი“ და „შოლე“. დაძაბულ ბრძოლაში მცირე უპირატესობით გამარჯვება მოიპოვა „ლიგოსმა“ — 87:84 (45:42). გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო სტეფან ოსტროვსკი (28 ქულა).

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობათა დასაკავებლად.

1. ანატომიის კათედრაზე დოცენტი 0,5 ერთეული მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. კონკურსის ვადაა 1 თვე დღიდან გამოცხადებისა. ცნობების მიღება შეიძლება ტელ: 23-09-02.

თბილისის „შეპარდენის“ სტადიონი

(ბ. ხმელნიცის ქუჩა № 40)

1 ივნისი • შეხვედრები

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

(შემაღლესი ჯგუფი)

„შეპარდენი-1966-1968“ (თბილისი) — „ლილა“ (გორი)

დასაწყისი 19 საათზე. მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალონოებში 1 ივნისს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).

ასპ-ის სტადიონი

2 ივნისი

შეხვედრები

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი

„მრეხვენი“ (თბილისი) — „ნაშარაული“ (ნაფარეული)

დასაწყისი 18 საათზე.

ლიგა

გამართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები.

„დინამო“ (სოხუმი) — „შუბანი“ (კარანოვარკი) 1:0 (1:0) ხოხუში. ცენტრალური სტადიონი. 29 მაისი.

„დინამო“: ოგინიკოვი, ბონდარუკი, ჩეკუნოვი, თარბა, დობაშინი, ენეკი, ხაბიტოვი, ახვლედიანი (არტუნიანი), ხმარიავი (ხეხთაივი), ჩაიკავა, ზაგაბა.

„შუბანი“: ალბონიკოვი, არხლანოვი, ერმოლაევი, ნიხენკო, ზახარაიანი, შანჩენკო, ბრეგვაძე (იბადუროვი), ზავირიაიანი, ბორისოვი (გმ-

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ზ. კახაძე. კორექტორები მ. ძეგაძე და ქ. ქავთარაძე.

ეში), პრავილო (ვერიოვიკინი), შრაქო.

მსაჯი ა. მალიაროვი (მოსკოვი).

მიმდინარეობდა თამაშის მე-5 წუთი, როცა კრასნოდარელმა მანჩენკომ მარცხიანად ითამაშა და საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. ამის შემდეგ სტუმრებმა რამდენიმე სახიფათო შეტევა განახორციელეს, მაგრამ უშედეგოდ, ხოლო საპასუხოდ ჯერ ჩალიკავამ, შემდეგ კი ზაგამ ძელს მოახვედრეს გადამწყვეტი დარტყმები.

შესვენების შემდეგ დინამოელებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ, თუმცა ცვლელმა ანგარაში არ მომხდარა.

თიანევი კავკასია, „ლელოს“ კორ.

ტიუმენის „გეოლოგმა“ წააგო სტავროპოლის „დინამოსთან“ — 0:1, იაროსლავლის „შინიკა“ დაამარცხა დონის ოსტოვის „როსტელმაში“ — 5:0, ხოლო ორჯონიკიძის სპარტაკმა — მოუგო გორკის „ლოკომოტივს“ — 3:0.

სპორტული ივნისი

1-2. ნიზნოსობა ბილარა და კანოე — საქართველოს ჩემპიონატი. ფოთი.

3-8. თანამედროვე ხუთბიდი — საქართველოს ჩემპიონატი X სპარტაკიადის პროგრამით. თბილისი.

5-8. ქართული კიბაობა — საქართველოს X სპარტაკიადის ფინალი. ტყეიბული.

6-11. ხელბურთი — რესპუბლიკური შეჯიბრება „სწრაფი ბურთის“ კლუბის პრიზზე 1976-1977 წლებში დაბადებული ქაბუკებისა და გოგონებისთვის. ყვარელი.

12-15. ძალოსნობა — საქართველოს პირველობა 1972-1973 წლებში დაბადებულითათვის. ამბროლაური.

12-16. ძიულთ. — საქართველოს პირველობა 1974-1976 წლებში დაბადებულითა შორის. ხაჯარეჯო.

15-17. მძლეოსნობა — სსრკ თასი (ზონა) — ქუთაისი.

16-28. კალათბურთი — საქართველოს პირველობა მინიკალათბურთში 1978-1979 წლებში დაბადებულ ქაბუკათათვის. თბილისი.

20-24. ცურვა. — საქართველოს პირველობა X სპარტაკიადის პროგრამით. თბილისი.

21-24. აკრობატიკა — საქართველოს თასი. ბათუმი.

22-25 მძლეოსნობა — საქართველოს ჩემპიონატი X სპარტაკიადის პროგრამით. თბილისი.

26-30. მხატვრული ტანვარჯიში. საქართველოს პირველობა 1974-1978 წლებში დაბადებულითათვის. ბათუმი.

28-31. ფრენბურთი — საქართველოს თასი (ე. წ. საბალაო ფრენბურთი). ბათუმი.

შენიშვნა: კალენდარში პირველი თარიღი მონაწილეთა ადგილზე ჩასვლის დღეს აღნიშნავს.